ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 314

2 ოქტომბერი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N392 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, ამავე კანონის 127^2 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-13 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N392 განკარგულებაში და განკარგულების სამართლებრივი საფუძვლები და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.747.1107 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089). შენობა-ნაგებობა N1-ში მდებარე სარდაფის - ფართით 89.75 კვ.მ, I სართულზე - 1471.5 კვ.მ ფართიდან 479.85 კვ.მ ფართის, II სართულზე -1322.32 კვ.მ ფართის, III სართულზე - 1787.07 კვ.მ ფართის, IV სართულზე -307.8 კვ.მ ფართის, IV სართულზე ღია ტერასაზე - 1047.14 კვ.მ ფართის, ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ: 203845385), პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.747.1107 განკარგულების და მისი დანართი 2-ით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლისხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**